

დამტკიცებულია
კოლეჯის დირექტორის
N01/22 ბრძანებით (01.09.2020)



შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების,
დამტკიცების, ცვლილების შეტანის, განხორციელების,
შეფასებისა და გაუქმების წესი

თბილისი

2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი (შემდგომში წესი) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე და არეგულირებს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში დაწესებულება/კოლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების პროცედურებს;

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მოიპოვებენ და ამუშავებენ ინფორმაციას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ, სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვითა და ტენდენციების გათვალისწინებით, შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს;

2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და პოტენციური დამსაქმებლები, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროფესიული სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე;

2.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემდეგი ტიპის მოდულებისაგან: ზოგადი, პროფესიული, საერთო პროფესიული და არჩევითი მოდულებისაგან;

2.4. პროფესიული, საერთო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და დაწესებულებას მათი შეცვლის უფლება არ აქვს;

2.5. დაწესებულება თვითონ იღებს გადაწყვეტილებას მის მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი მოდულების ჩართვასთან დაკავშირებით, ამავე პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-ისა;

2.6. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს ჩარჩო დოკუმენტით შეთავაზებული არჩევითი მოდულები, თავად შეარჩიოს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ. ეს შესაძლოა იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმავი პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული;

2.7. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას უფლებამოსილია თავისი შეხედულებით შეარჩიოს ის უცხო ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში;

2.8. კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც), გარდა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომელშიც ინტეგრირებულია სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროგრამის განსხვავებული მიდგომით (დეულური, ინტეგრირებული) განხორციელების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ახლდეს ორი სასწავლო გეგმა;

2.9. სასწავლო გეგმა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ მოდულზე დაშვების წინაპირობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაცული იყოს, სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე გადასაბარებელი მოდულის/სწავლის შედეგის გონივრულ ვადაში განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა ჰქონდეს. მოდულების სწავლების თანმიმდევრობა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების ათვისებას;

2.10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს „ქართული ენა A2/B1“ მოდულის განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

2.11. დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამის მიზნისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გარდა, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროგრამაზე დაშვების წინაპირობის, დასაქმების შესაძლებლობის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის ხანგრძლივობისა და კრედიტების რაოდენობის შესახებ;

2.12. პროგრამას გარდა სასწავლო გეგმისა, უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პრაქტიკული კომპონენტის გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმის/ხელშეკრულების შესახებ.

მუხლი 3. მოდულის შემუშავება

3.1. მოდული არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი, რომელიც მტკიცდება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში, მოდული ცალკე უნდა დამტკიცდეს);

3.2. მოდული შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები;

3.3. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია, სტანდარტულ

ჩანაწერებში ცვლილებები დასაშვებია, თუ ის გამოწვეულია კომპენენციის პარამეტრების ფარგლების ან/და შესრულების კრიტერიუმების დამაზუსტებელ/განმსაზღვრელ ნორმატიულ აქტებში განხორციელებულ ცვლილებებით, რა დროსაც დაწესებულება ვალდებულია ასეთი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, მიაწოდოს ინფორმაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

3.4. მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში ხარვეზ(ებ)ის დაფიქსირების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას;

3.5. დამხმარე ჩანაწერები სარეკომენდაციო ხასიათისაა და შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა;

3.6. კოლეჯი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგის ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით).

3.7. მოდულში მიეთითება მოდულის განხორციელების ადგილ(ებ)ი; შესაძლებელია მიეთითოს შესაბამისი აუდიტორია;

3.8. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. მოდულის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები უნდა ცხადყოფდეს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. კოლეჯი უფლებამოსილია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი, რაც შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური, სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური უნდა იყოს;

3.9. კოლეჯის მიერ შემუშავებული მოდული მოიცავს სასწავლო ლიტერატურისა და რეკომენდებული/შემოთავაზებული სასწავლო რესურსის ჩამონათვალს. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს მის საბიბლიოთეკო ფონდში არსებული ყველა სახის ლიტერატურის ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისათვის;

3.10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოდულის მოდიფიცირების/აკომოდირების მიზნით.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება

4.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/დამატების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერი, სასწავლო პროფესის მართვის მენეჯერი,

ბულალტერი, პოტენციური დამსაქმებლები და პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის წარმომადგენლები, სამუშაო ჯგუფს საჭიროების შემთხვევაში კონსულტირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

4.2. კოლეჯის შიდასამართლებრივი აქტების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ინიშნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

4.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, გამოიცემა დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

მუხლი 5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა/განვითარება

5.1. კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, დაწესებულებაში დანერგილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, ან სხვა გარემოებების საფუძველზე;

5.2. პროგრამაში ცვლილების ინიციატორი შესაძლებელია იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია და/ან სხვა დაინტერესებული პირი;

5.3. ინიცირების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც შედგება პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, ცვლილების ინიციატორისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერისაგან;

5.4. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

5.5. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები;

5.6. დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შინაარსობრივი (არჩევითი მოდულის დამატების ან ამოღების, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის შეცვლის) ცვლილების შესახებ აცნობებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

5.7. კომისია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების ან ცვლილების განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით;

5.8. კომისიის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში შედის ცვლილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

5.9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტსა და მოდულში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

7.1. შპს ავიცენას საზოგადოებრივ კოლეჯში სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანად წარმართვისათვის გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, განვითარება და სრულყოფა. დასახული მიზნების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ე.წ. PDCA (P- Plan - დაგეგმე, D - Do - განახორციელე, C - Check - შეამოწმე, A - Act - განავითარე) ციკლი;

7.2. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით;

7.3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე;

7.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას, რის გამოც, ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, ინტერვიუს შედეგებს, დასწრების ოქმებს მოდულის შიდა შეფასებისათვის და სხვა);

7.5. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს;

7.6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობის/მდგომარეობის საკითხს;

7.7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფასდება, რამდენად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებს (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს) ინტერაქტიურ სწავლა-სწავლების პროცესს.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

8.1. არსებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

- ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული სტანდარტის ვადის გასვლა/გაუქმება;
- ბ) ოპტიმიზირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოვლენილი ისეთი უარყოფითი შედეგები, რომელთა გამოსწორება კოლეჯისთვის არ არის დაძლევადი/პროგრამის არარენტაბელობა/კურდამთავრებულთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი და სხვა გარემოებები.

8.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას;

8.3. დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, კოლეჯის სასწავლო პროცესის სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით, პროფესიული სტუდენტების ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, შეისწავლის გასაუქმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებად, მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს;

8.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე, კოლეჯის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის წინმსწრებად გაფორმება და პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების შეთანხმება და/ან მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანა, რის შესახებაც სათანადო ინფორმაციას წარუდგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

8.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შესაბამისობის დადგენას არსებული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს შორის;

8.6. შეცვლილ/გაუქმებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების კრედიტების აღიარებას ახდენს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კრედიტების აღიარების კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;

8.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე დონის დასრულების შესაძლებლობა მიღწევად რეჟიმში.